N გ-23-03/2491
16/11/2023

2491-გ-23-03-2-202311160924

შპს „სპეცსერვისი 008“-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2023 წლის 30 ნოემბერს 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში ,,კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება საკითხი კომისიის 2012 წლის 6 მარტის №177/15 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

კომისიის 2012 წლის 6 მარტის №177/15 გადაწყვეტილებით შპს „სპეცსერვისი 008“-ს (ს/კ 200021760) მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით მიანიჭა ნუმერაციის რესურსი - 1-1-8-1-1 (ერთი-ერთი-რვა-ერთი-ერთი). გამომდინარე იქიდან, რომ შპს „სპეცსერვისი 008“-ს ნუმერაციის რესურსი - 1-1-8-1-1 (ერთი-ერთი-რვა-ერთი-ერთი), მინიჭებული ჰქონდა სატელეფონო საინფორმაციო-საცნობარო სამსახურისთვის, არა უპირობოდ და უვადოდ, არამედ სატელეფონო საინფორმაციო-საცნობარო მომსახურების განხორციელების ვადით და აღნიშნულ კომპანიას საერთოდ არ განუხორციელებია სატელეფონო საინფორმაციო-საცნობარო მომსახურება, მიზანშეწონილია ძალადაკარგულად გამოცხადდეს კომისიის 2012 წლის 6 მარტის №177/15 გადაწყვეტილება.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

გთხოვთ, უზრუნველყოთ როგორც თქვენი მოსაზრებების წარმოდგენა 2023 წლის 23 ნოემბრამდე ასევე უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და

ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამასთან, გაცნობებთ, რომ კომისია უფლებამოსილია საკითხი განიხილოს სხდომაზე წარმომადგენლის დასწრების გარეშეც.

პატივისცემით,
ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი